ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
მინისტრი

ბრძანება
N02/52

02 / თებერვალი / 2016 წ. **ქ.თბილისი**

სსიპ „ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ პროექტის ,,წუნა და წრუწუნა თოჯინების თეატრში" ფინანსური მხარდაჭერის შესახებ

,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის N197 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, სსიპ ,,ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ პროექტის ,,წუნა და წრუწუნა თოჯინების თეატრში" ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ვბრძანებ:

1. ,,საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ქვეპროგრამის - ,,ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის“ (33 02 05), ღონისძიების ,,ქართული პროფესიული თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის“ (33 02 05 02) ასიგნებები შემცირდეს 9 780 (ცხრა ათას შვიდას ოთხმოცი) ლარით, შესაბამისად გაიზარდოს სსიპ ,,ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ ასიგნებები 9 780 (ცხრა ათას შვიდას ოთხმოცი) ლარით.

2. დაევალოს ფინანსური რესურსების მართვის დეპარტამენტს (ზ. მიმინოშვილი), წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გამოყოფასთან დაკავშირებული გეგმის ცვლილებისათვის საჭირო პროცედურების წარმართვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სსიპ ,,ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა“:
ა) ამ ბრძანებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისათვის საჭირო საქონელისა და მომსახურების შესყიდვა განახორციელოს თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოს პროექტის განხორციელების შედეგად გაწეული ხარჯების შესახებ ფინანსური აგნარიშის მოწოდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის 2016 წლის 13 აპრილამდე.
გ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილობით მიაწოდოს ანგარიში ამ ბრძანების მიზნის მიღწევისა და დამდგარი შედეგის შესახებ.

4. ბრძანების კოორდინაცია დაევალოს პროექტების განხილვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის პროექტების მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტს ს. ვასაძეს, ხოლო ბრძანების შესრულების კურატორად განისაზღვროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის ხელოვნების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ზ. სოფრომაძე.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს კ. კანდელაკს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: საქართველოს კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის 2016 წლის 29 იანვრის N8 ოქმი და პროექტების განხილვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის ნელი სებისკვერაძის 2016 წლის 29 იანვრის N 1384 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი *მიხეილ გიორგაძე*